ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება # 25

ქ. ცაგერი 31 მაისი 2011 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ძეგლების დაცვის

კუთხით არსებული მდგომარეობისა და შემდგომი ამოცანების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის კულტურის ძეგლების დაცვის კუთხით გაწეული იქნა გარკვეული მუშაობა. კულტურის სამსახურის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის კულტურის ძეგლების აღრიცხვა დათვალიერება.

მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური ჩარევით კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ ხორციელდება ღონისძიებები ცხეთის წმინდა გიორგის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

ცაგერ-ლენტეხის ეპისკოპოსის მეუფე სტეფანეს ძალისხმევით არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა წმინდა მაქსიმეს მონასტერში, რითაც დგინდება, რომ მაქსიმე აღმსარებელი განისვენებს ისტორიულ მურში.

კულტურის სამსახურმა, კულტურის ცენტრთან ერთად ქ. ცაგერის კულტურის სახლში მოაწყო მემკვიდრეობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ცაგერის ისტორიული მუზეუმის მიერ გაკეთდა დოკუმენტური ვიდეო მასალა ლეჩხუმზე, რომელიც ჩაწერილია დისკზე, მასში წარმოდგენილია ლეჩხუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

რაიონის კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობის მიზნით ტარდება ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები მუნიციპალიტეტის ციხე მონასტრებზე სხვა ისტორიულ ადგილებზე მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობით.

მიუხედავად გატარებული გარკვეული ღონისძიებებისა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიზნით საქმიანობა ხასიათდება პრობლემებით და ხარვეზებით.

მუნიციპალიტეტში დღემდე არ არსებობს კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისათვის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ადრეფეოდალური ანტიკური პერიოდის ციხე-კომპლექსები (მურის, დეხვირის, ორბელის, ზუბის, უწვაშის) და ადრე შუასაუკუნეების ეკლესია-მონასტრების (გვესოს კომპლექსი, თაბორის კომპლექსი, გონი) ძლიერ დაზიანებული არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც თავისი მშენებლობის კულტურით და ისტორიული წარსულით ყურადღებას იმსახურებენ.

ორი წელია შეწყვეტილია გონის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ჩატარებულა კულტურული ძეგლების აღდგენისათვის სერიოზული მაშტაბის სარესტავრაციო სამუშაოები.

2.

პრობლემატურია მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხი, ჯერ-ჯერობით არ არსებობს მექანიზმი ამ საკითხის მოგვარებისათვის.

-ახლო მომავალში აუცილებელია

მუნიციპალიტეტში საკრებულოს და გამგეობის მიერ დაისვას საკითხი საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წინაშე ლეჩხუმის კულტურული ძეგლების გადარჩენისათვის დახმარების მიზნით.

მთავარია სარესტავრაციო სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მოზიდვა და სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. პარალელურად უნდა განხორციელდეს ლეჩხუმის კულტურული ძეგლების მეცნიერული შესწავლა.

-კულტურის სამსახურმა მოწვეული კვალიფიციური პირების მონაწილეობით უნდა ოპერატიულად შეიმუშავოს მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლების დაცვისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა. მუნიციპალიტეტის ვეფგვერდზე საჭიროა განთავსდეს ლეჩხუმის კულტურული ძეგლების შესახებ ინფორმაცია, რაც გაზრდის დაინტერესებას რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ძეგლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობისა და შემდგომი ამოცანების შესახებ მიღებული იქნას ცნობად.

2. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს მოწვეულ კვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშავოს მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლების დაცვის კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის (მ. ლეთოდიანი, დ. ასათიანი) მიერ მომზადდეს ერთობლივი წერილი საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის სახელზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურულ ძეგლებზე რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის სხვადასხვა პროექტების განხორციელების მოთხოვნით.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ლეთოდიანი